სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაციის

საგადახდო სისტემაში რეგისტრაციის, სისტემაზე წვდომისა და მონაწილეობის

ძირითადი პირობები

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაციის“ საგადახდო სისტემაში რეგისტრაციის, სისტემაზე წვდომისა და მონაწილეობის ძირითადი პირობები (შემდგომში - „ძირითადი პირობები“).

1. ტერმინთა განმარტება

1.1. წინამდებარე **ძირითადი პირობების** მიზნებისთვის, ქვემოთ მოცემულ ტერმინებს ენიჭებათ ამავე პუნქტით დადგენილი მნიშვნელობები:

1.1.1. **სისტემის ოპერატორი** - სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია;

1.1.2. **სისტემის წესები** – ამ დოკუმენტით განსაზღვრული წესებისა და პროცედურების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს საგადახდო **სისტემის** მუშაობას;

1.1.3. **სისტემა** - სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაციის საგადახდო **სისტემა**;

1.1.4. **სისტემის მონაწილე (ან/და მონაწილე)** – იურიდიული პირი, რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე დოკუმენტის მე-3 მუხლით დადგენილ პირობებს. ამასთან, **სისტემის მონაწილე** შეიძლება იყოს: **ფინანსური ინსტიტუტი**, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტი, საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, ანგარიშსწორების აგენტი, **სისტემის ოპერატორი**;

1.1.5. **ხელშეკრულება** - წინამდებარე ძირითადი პირობები და **სისტემის ოპერატორსა** და **სისტემის მონაწილეს** შორის დადებული ხელშეკრულება, მისი ყველა დანართი და შემადგენელი დოკუმენტი ერთად;

1.1.6. **მხარე** - **სისტემის ოპერატორი** ან **სისტემის მონაწილე** კონტექსტის შესაბამისად;

1.1.7. **მხარეები** - **სისტემის ოპერატორი** და **სისტემის მონაწილე** ერთად;

1.1.8. **ფინანსური ინსტიტუტი** - იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საგადახდო მომსახურების მომხმარებელს უწევს საგადახდო მომსახურებას და აქვს **საბარათე ინსტრუმენტის** გამოშვების ან/და მომსახურების უფლება;

1.1.9. **საბარათე ინსტრუმენტი** – **საგადახდო ინსტრუმენტი**, მათ შორის, საგადახდო ბარათი, მობილური ტელეფონი, კომპიუტერი ან სხვა ტექნოლოგიური მოწყობილობა, რომელშიც ჩაწერილია/ინტეგრირებულია შესაბამისი საგადახდო აპლიკაცია და რომლის საშუალებით გადამხდელს შეუძლია განახორციელოს საბარათე ოპერაციის ინიციირება;

1.1.10. **საგადახდო ბარათი (ან/და ბარათი ან/და ავტორიზაციის ინსტრუმენტი)** - **საგადახდო ინსტრუმენტი**, რომლის საშუალებით გადამხდელს შეუძლია განახორციელოს **ავტორიზაციის** ინიციირება;

1.1.11. **ემიტენტი** - მოქმედი კანონმდებლობით უფლებამოსილი ორგანიზაცია, რომელიც ახდენს **ბარათების** გამოშვებას;

1.1.12. **ავტორიზაცია** - ნებისმიერი სახის ავტორიზაცია საბარათე ანგარიშით, **ბარათით** ან მისი რეკვიზიტებით ოპერაციის განხორციელებაზე;

1.1.13. **ბანკომატი (“ATM”)** - თვითმომსახურების ელექტრონული პროგრამულ–ტექნიკური მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც **ბარათის** მფლობელს შეუძლია ნაღდი ფულის

გამოტანა/შეტანა და სხვა ისეთი ოპერაციების წარმოება, როგორიცაა ანგარიშზე არსებული ნაშთის შესახებ ინფორმაციის მიღება, გადახდების განხორციელება და სხვა;

1.1.14. **პოს-ტერმინალი (“POS”)** - ელექტრონული პროგრამულ–ტექნიკური მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება ბანკში ან სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში **ბარათით** გადახდის განსახორციელებლად ან თანხის გასატანად;

1.1.15. **ემბოსირება** - **ბარათის** საიდენტიფიკაციო მონაცემების (როგორიცაა **ბარათის** ნომრის, მოქმედების ვადის, მფლობელის სახელისა და გვარის ან/და სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემების) რელიეფური ფორმით **ბარათზე** დაბეჭდვა;

1.1.16. **პროცესინგი** - საქმიანობა, რომელიც მოიცავს **ბარათებით** წარმოებული ოპერაციების შესახებ ინფორმაციის მიღებას (შეგროვებას), შენახვას, დამუშავებას და დამუშავებული ინფორმაციის გადაცემას ანგარიშსწორების განსახორციელებლად;

1.1.17. **ექვაირინგი** - პირის საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს: ა) სავაჭრო (მომსახურების) ობიექტებთან ან სხვა პირებთან **პოს–ტერმინალის** საშუალებით **ბარათით** გადახდის, ასევე **ბარათის** რეკვიზიტებით ინტერნეტ-გადახდის შესრულებას და შესაბამისი ანგარიშსწორების განხორციელებას სავაჭრო/მომსახურების ობიექტებთან; ბ) **ბარათით** განხორციელებული ოპერაციის შედეგად ნაღდი ფულის გაცემას;

1.1.18. **ექვაირერი** - **ექვაირინგის** განმახორციელებელი პირი;

1.1.19. **ბინი (“BIN”)** - ბანკის საიდენტიფიკაციო ნომერი საგადახდო სისტემაში;

1.1.20. **საგადახდო ინსტრუმენტი** - მოწყობილობა (მექანიზმი) და/ან პროვაიდერსა და მომხმარებელს შორის შეთანხმებული პროცედურების ერთობლიობა, რომლის მეშვეობით საგადახდო მომსახურების მომხმარებელი ახდენს საგადახდო დავალების ინიცირებას;

1.1.21. **სამუშაო დღე** - საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული კალენდარული დღე შაბათ-კვირის და უქმე დღეების, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის ან/და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად საგანგებოდ გამოცხადებული უქმე დღის გარდა;

1.1.22. **საკომუნიკაციო კვანძი** - საკომუნიკაციო არხი **სისტემის ოპერატორისა** და **სისტემის მონაწილის** სერვერებს შორის;

1.1.23. **UFC PaymentHub** – **სისტემის ოპერატორის** მიერ შეთავაზებული ტექნოლოგიური პლატფორმა, რომელიც მომხმარებლებს უზრუნველყოფს ერთიანი ინტეგრაციის წერტილით, რომლის მეშვეობითაც მათ შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ გარე გადახდის ეკოსისტემების, ფინანსური ინსტიტუტების, გადახდის ქსელების, საბარათე სქემების, ტექნოლოგიური პლატფორმებისა და სხვა მესამე მხარის მომსახურების პროვაიდერების მიერ შეთავაზებული შესაბამისი სერვისებით. UFC PaymentHub უზრუნველყოფს აღნიშნულ სერვისებთან დაკავშირებას, მონაცემთა და/ან შეტყობინებების ტრანსფორმაციას, მარშრუტიზაციას, ორკესტრაციას, უსაფრთხოების მექანიზმების განხორციელებას, მონიტორინგს, აგრეთვე მოთხოვნებისა და პასუხების გაცვლის, დამუშავებისა და მართვის პროცესს ერთიანი ინტეგრაციის ინტერფეისის მეშვეობით.

2. სისტემის ოპერატორის მომსახურება

2.1. სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია, როგორც საგადახდო **სისტემის ოპერატორი**, უზრუნველყოფს **სისტემის** მონაწილეობის მსურველი შესაბამისი პირისთვის/**სისტემის მონაწილესთვის**, მის მართვაში მყოფი საგადახდო **სისტემის** ხელმისაწვდომობას ობიექტური, არადისკრიმინაციული და პროპორციული პირობებით.

2.2. **სისტემის ოპერატორი** საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, შესაბამისი საერთაშორისო საბარათე სქემების/საგადახდო სისტემების წესებისა და PCI-ის (Payment Card Industry) მონაცემთა უსაფრთხოების სტანდარტების შესაბამისად.

2.3. ზემოაღნიშნული რეგულაციების შესაბამისად, **სისტემის ოპერატორი სისტემის მონაწილეს** გაუწევს შემდეგ მომსახურებას:

2.3.1. **სისტემის მონაწილის** კლიენტებისთვის საკუთარ ანგარიშებზე წვდომის უზრუნველყოფა **ბანკომატების** ქსელის მეშვეობით (ნაღდი ფულის გატანა/შეტანა, კონვერტაცია, ინფორმაციული სერვისები და სხვა ოპერაციები).

2.3.2. **სისტემის მონაწილის** კლიენტებისთვის ანგარიშებზე წვდომის უზრუნველყოფა სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში მდებარე გადახდის ტერმინალების (POS) მეშვეობით

2.3.3. **სისტემის მონაწილის** კლიენტებისთვის ანგარიშებზე წვდომის უზრუნველყოფა ელექტრონული კომერციის პლატფორმებზე განხორციელებული ოპერაციებისას.

2.3.4. **სისტემის მონაწილის** მიერ ემიტირებული საგადახდო საშუალებებით განხორციელებული **ავტორიზაციების** და ტრანზაქციების **პროცესინგის** უზრუნველყოფა.

2.3.5. **სისტემის მონაწილის ექვაირინგის** ქსელში განხორციელებული ტრანზაქციების **პროცესინგისა** და კლირინგისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა.

2.3.6. **სისტემის მონაწილის** მიერ ემიტირებული საგადახდო საშუალებებით და მის ექვაირინგის ქსელში განხორციელებული ოპერაციებისათვის ოპერაციული და ტექნოლოგიური მომსახურების უზრუნველყოფა.

3. სისტემაში მონაწილეობა

3.1. **სისტემაში** მონაწილეობა შესაძლებელია როგორც საქართველოს რეზიდენტი, ისე არარეზიდენტი პირებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

3.1.1. **სისტემაში** მონაწილეობის ლოკალური **ბარათების** ემისიის ან/და ლოკალური **ბარათების** მომსახურების მსურველი/**სისტემის მონაწილე** წარმოადგენს „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, **სისტემის მონაწილის** განმარტებით განსაზღვრულ იურიდიულ პირს;

3.1.2. **სისტემაში** მონაწილეობის მსურველს/**სისტემის მონაწილეს** გააჩნია საქმიანობისთვის შესაბამისი ლიცენზია/რეგისტრაცია/ნებართვა;

3.1.3. **სისტემაში** მონაწილეობის მსურველს/**სისტემის მონაწილეს** კანონმდებლობის შესაბამისად შეუძლია **სისტემაში** მონაწილეობა;

3.1.4. **სისტემაში** მონაწილეობის მსურველი/**სისტემის მონაწილე** არ წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიჩნეული მაღალრისკიანი/აკრძალული ქვეყნის რეზიდენტს;

3.1.5. მხოლოდ ლოკალური **ბარათების** ემისიისათვის ან/და ლოკალური **ბარათების** მომსახურებისთვის, **სისტემაში** მონაწილეობის მსურველი/**სისტემის მონაწილე** წარმოადგენს **ფინანსურ ინსტიტუტს**;

3.1.6. საერთაშორისო **ბარათების** ემისიისათვის ან/და საერთაშორისო **ბარათების** მომსახურებისთვის, **სისტემაში** მონაწილეობის მსურველი/**სისტემის მონაწილე** წარმოადგენს **ფინანსურ ინსტიტუტს**, რომელიც ამავდროულად უნდა იყოს საერთაშორისო საგადახდო სისტემის (“VISA”, “MC”, “UPI” და სხვ.) წევრი, ხოლო ასოცირებული წევრობის შემთხვევაში, დამატებით აუცილებელია ძირითადი წევრის თანხმობა;

3.1.7. **სისტემაში** მონაწილეობის მსურველი/**სისტემის მონაწილე** უნდა ეთანხმებოდეს "Visa International-ის, „MasterCard"-ის და „UPI" (Union Pay International)-ის რეგულაციებსა და „PCI"-ის (Payment Card Industry) მონაცემთა უსაფრთხოების სტანდარტებს და შესაბამისად ახორციელებს საქმიანობას.

4. საგადახდო სისტემაში რეგისტრაცია

4.1. **სისტემაში** მონაწილეობის მსურველი, **სისტემის ოპერატორს** მიმართავს და წარუდგენს შემდეგ დოკუმენტაციას:

4.1.1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

4.1.2. დოკუმენტაცია, რომელიც წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის დადგენის საშუალებას იძლევა;

4.1.3. დირექტორის/ხელმომწერი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლი;
საჭიროების შემთხვევაში, **სისტემის ოპერატორის** რეგულირებებისა და მოთხოვნების შესაბამის სხვა დოკუმენტაციას.

5. სისტემის მონაწილის დეფოლტი და ხელშეკრულების მოქმედება

5.1. **დეფოლტად განიხილება შემდეგი გარემოებები:**

5.1.1. **სისტემის მონაწილე** არღვევს ან არაჯეროვნად ასრულებს **ხელშეკრულებით**, ძირითადი პირობებითა და სხვა შემადგენელი დოკუმენტებით გათვალისწინებულ ფულად ან/და სხვა ნებისმიერ ვალდებულებას;

5.1.2. **სისტემის მონაწილე** სისტემატურად აგვიანებს **სისტემის ოპერატორის** სასარგებლოდ ანგარიშსწორებას. ამ პუნქტის მიზნებისთვის სისტემატურ დაგვიანებად ითვლება, **სისტემის ოპერატორისთვის** 1 (ერთი) კალენდარული წლის განმავლობაში ორზე მეტჯერ მომსახურების საფასურის დაგვიანებით გადახდა;

5.1.3. **სისტემის მონაწილე** არ ასრულებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნას, **სისტემის ოპერატორის** მითითების მიუხედავად;

5.1.4. **სისტემის მონაწილის** მხრიდან გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობა, **სისტემის ოპერატორის** მიერ დამატებითი ვადის განსაზღვრის მიუხედავად;

5.1.5. **სისტემის მონაწილის** საქმიანობის ლიცენზიის შეწყვეტა / შეჩერება / მარეგულირებელი ორგანოს მოთხოვნა **სისტემაში** მისი მონაწილეობის შეწყვეტის ან შეჩერების შესახებ;

5.1.6. **სისტემის მონაწილის** მიმართ დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღება;

5.1.7. **სისტემის ოპერატორი** ფლობს **სისტემის მონაწილის** გადახდისუუნარობის შესახებ საიმედო ინფორმაციას (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საკორესპოდენტო ანგარიშებზე ოპერაციების შეჩერება, **სისტემის მონაწილეთათვის** ან/და **სისტემის** მიმართ დაკისრებული ვალდებულებების აუნაზღაურებლობა);

5.1.8. **სისტემის მონაწილე** არ აკმაყოფილებს ძირითადი პირობებით დადგენილ მოთხოვნებს/**სისტემის წესებს**;

5.1.9. **სისტემის მონაწილის** მიერ ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობა, რომელიც გამოწვეულია საოპერაციო მიზეზებით, ხელშეკრულების დარღვევით ან მონაწილის მიმართ გადახდისუუნარობის და/ან ლიკვიდაციის პროცესის დაწყებით;

5.1.10. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

5.2. **დეფოლტის სამართლებრივი შედეგი:**

5.2.1. დეფოლტის გარემო(ებ)ის არსებობის შემთხვევაში, **სისტემის ოპერატორი** უფლებამოსილია:

5.2.1.1. შეაფასოს დეფოლტის გარემოება და საკუთარი შეხედულებით, დაუწესოს **სისტემის მონაწილეს** დამატებითი ვადა დეფოლტის აღმოფხვრის მიზნით;

5.2.1.2. ნებისმიერ დროს, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით, შეუჩეროს **სისტემის მონაწილეს სისტემაში** მონაწილეობა;

5.2.1.3. მონაწილეობის შეჩერების გამომწვევი მიზეზ(ებ)ის აღმოფხვრისას ან/და **სისტემის** მიერ მოთხოვნილი დამატებითი პირობ(ებ)ის დაკმაყოფილების შემთხვევაში, აღუდგინოს მონაწილეს **სისტემაში** მონაწილეობა;

5.2.1.4. ცალმხრივად, ნებისმიერ დროს, **სისტემის მონაწილის** წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, შეუწყვიტოს **სისტემაში** მონაწილეობა და შეწყვიტოს მასთან გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულება.

5.3. **ხელშეკრულების შეწყვეტის სხვა საფუძვლები:**

5.3.1. **ხელშეკრულება** შესაძლებელია შეწყდეს შემდეგ შემთხვევებში:

5.3.1.1. **მხარეთა** შეთანხმებით;

5.3.1.2. თუ ერთერთი **მხარე** გამოხატავს თანამშრომლობის შეწყვეტის სურვილს და შეწყვეტის შესახებ წერილობითი ფორმით აცნობებს მეორე **მხარეს**, შეწყვეტამდე მინიმუმ 6 (ექვსი) თვით ადრე;

5.3.1.3. **სისტემის მონაწილის** მიერ ცალმხრივად, თუ მეორე **მხარე** უხეშად არღვევს ან ჯეროვნად არ ასრულებს მის მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრ ვალდებულებებს მხარის მიერ წერილობითი გაფრთხილების და გონივრული ვადის მიცემის მიუხედავად. ასეთ შემთხვევაში, **ხელშეკრულების** შეწყვეტის შესახებ განზრახვა წერილობით უნდა მიეწოდოს **მხარეს** შეწყვეტის თარიღამდე 30 (ოცდაათი) დღით ადრე;

5.3.1.4. მხარის ლიკვიდაციის ან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შესაბამისი ლიცენზიის/რეგისტრაციის გამოთხოვის შემთხვევაში;

5.3.1.5. **სისტემის ოპერატორი** უფლებამოსილია, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს **ხელშეკრულება** იმ შემთხვევაში, თუ **სისტემის მონაწილე**, მათ შორის მისი მენეჯმენტის, აღმასრულებელი ან სამეთვალყურეო ორგანოს წევრი ან ბენეფიციარი მესაკუთრე, მოხვდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) ან/და ევროკავშირის ან/და გაერთიანებული სამეფოს ან/და ამერიკის შეერთებული შტატების ან/და საქართველოს მიერ სანქცირებულ პირთა სიაში, ასევე, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მითითებების/რეგულაციების ან/და დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, **სისტემის მონაწილე** მიჩნეული უნდა იქნას სანქცირებულად. აღნიშნულ შემთხვევებში, **სისტემის ოპერატორი** უფლებას იტოვებს იმოქმედოს უფლებამოსილი პირ(ებ)ის ან ორგანოს მიერ დაწესებული სანქციის შესაბამისად და განახორციელოს უფლებამოსილი პირ(ებ)ის ან/და ორგანოს მიერ დაწესებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი და ყველა ქმედება.

5.3.1.6. კანონმდებლობით ან/და **ხელშეკრულებით** გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

5.4. **ხელშეკრულების** ვადაზე ადრე შეწყვეტის და როგორც შედეგის, **სისტემის მონაწილის** მიერ ემიტირებული ყველა **ბარათის** მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, **სისტემის ოპერატორის** მიერ მიღებული ყოველგვარი ერთჯერადი და წლიური გადასახადები არ ექვემდებარება **სისტემის მონაწილესადმი** დაბრუნებას;

5.5. **ხელშეკრულების** შეწყვეტა არ ათავისუფლებს **მხარეებს** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან;

5.6. **სისტემის** სხვა მონაწილეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ დაფარონ **სისტემის** მონაწილეობის შეჩერება/შეწყვეტის სუბიექტის მიმართ **სისტემაში** მონაწილეობასთან დაკავშირებული ვალდებულებები;

5.7. **სისტემის ოპერატორი** დაუყოვნებლივ ატყობინებს **სისტემის** სხვა მონაწილეებს (ამ მიზნისათვის ყველაზე სწრაფი საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით) მონაწილის გარკვეული უფლებების შეჩერების ან აღდგენის შესახებ;

5.8. **სისტემის მონაწილე**, რომელსაც მოთხოვნების შესაბამისად შეუწყდა/შეუჩერდა **სისტემაში** მონაწილეობა, არ თავისუფლდება მასზე დაკისრებული შემდეგი ვალდებულებ(ებ)ისგან:

5.8.1. **სისტემაში მონაწილეობასთან** დაკავშირებული ვალდებულებები, რომლებიც მას წარმოექმნა სხვა მონაწილეების მიმართ **სისტემაში** მონაწილეობის გაუქმებამდე ან გაუქმების შედეგად;

5.8.2. **სისტემის ოპერატორის** მიმართ არსებული გადახდის ვალდებულება;

5.8.3. **სისტემის მონაწილე** ვალდებულია დაუყოვნებლივ გაისტუმროს ყველა ვალდებულება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომელიც მას აქვს **სისტემის** სხვა მონაწილეების მიმართ **სისტემაში** მონაწილეობასთან დაკავშირებით.

6. სისტემის მონაწილის უფლებები და ვალდებულებები

6.1. **სისტემის მონაწილე უფლებამოსილია:**

6.1.1. მოსთხოვოს **სისტემის ოპერატორს ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

6.1.2. ახალი ტექნოლოგიური პროდუქტების დანერგვისას, მოითხოვოს **სისტემის ოპერატორის** დროული მხარდაჭერა;

6.1.3. მოითხოვოს **სისტემის ოპერატორისგან** ზოგადი სტატისტიკური მონაცემები და ანგარიშგებებისთვის საჭირო რეპორტები;

6.1.4. მოითხოვოს **სისტემის ოპერატორისგან** წერილობითი ან/და ელექტრონული სახის ინფორმაცია **ხელშეკრულების** ფარგლებში **სისტემის ოპერატორის** მიერ ჩატარებული **ავტორიზაციების,** ტრანზაქციების და სხვა მონაცემების შესახებ;

6.1.5. **ხელშეკრულების** შესაბამისად **მხარეთა** თანამშრომლობის ფარგლებში, ინტერნეტ გვერდზე ან სარეკლამო მარკეტინგულ მასალებში ან სხვა საჯარო წყაროებში გამოიყენოს/გამოაქვეყნოს **სისტემის ოპერატორის** დასახელება და ლოგოტიპი.

6.1.6. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული ურთიერთთანამშრომლობა **სისტემის მონაწილისათვის** წარმოადგენს აუთსორსინგულ მომსახურებას, **სისტემის მონაწილე** უფლებამოსილია მიაწოდოს საქართველოს ეროვნულ ბანკს, როგორც კომერციული ბანკების საზედამხედველო ორგანოს, **სისტემის ოპერატორთან** დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

6.2. **სისტემის მონაწილე ვალდებულია:**

6.2.1. **სისტემის მონაწილის ბარათების** მფლობელთა ოპერაციების წარმოების მიზნით, მონაცემთა ბაზის განახლებისათვის, ელექტრონული ფორმით გადასცეს **სისტემის ოპერატორს** შესაბამისი ინფორმაცია;

6.2.2. გადაუხადოს **სისტემის ოპერატორს** გაწეული მომსახურების საფასური, შეთანხმებული პირობების შესაბამისად;

6.2.3. **მხარეები** ვალდებულებას იღებენ, 30 (ოცდაათი) დღის ვადაში მიაწოდონ ერთმანეთს ინფორმაცია სამართლებრივი სტატუსის ცვლილების განზრახვის (ლიკვიდაციისა და რეორგანიზაციის ჩათვლით), საბანკო და საფოსტო რეკვიზიტების ცვლილებების შესახებ. სამართლებრივი სტატუსის შეცვლის შემთხვევაში უფლება-მოვალეობანი გადადის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილ შესაბამისი მხარის სამართალმემკვიდრეზე; თუ ცვლილება ეხება მონაწილის სახელწოდებას ან ლოგოტიპს აღნიშნული უნდა განხორციელდეს **მხარეთა** შეთანხმებით იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს მომსახურების უწყვეტობა მონაწილისათვის;

6.2.4. გააჩნდეს **ბარათების** ემისიისათვის და მომსახურებისათვის, სავაჭრო და მომსახურების ობიექტების, ნაღდი თანხის გაცემის წერტილების და **ბანკომატების** ფუნქციონირებისათვის საჭირო იურიდიული თუ სხვა სახის ნებართვები;

6.2.5. გონივრულობის ფარგლებში აიღოს პასუხისმგებლობა და მიმართოს სრულ ძალისხმევას, რათა **სისტემის მონაწილის** ფილიალებში/სერვის-ცენტრებში, სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში და **ბანკომატებში** დაცული იყოს **ბარათების** მომსახურების წესები;

6.2.6. უზრუნველყოს **ბარათების** ემისიისთვის და პინ კოდების გენერაციისათვის საჭირო სამუშაოების შესრულება და უზრუნველყოს **სისტემის ოპერატორისთვის** საჭირო ინფორმაციის მიწოდება **ხელშეკრულებით** განსაზღვრული წესის შესაბამისად;

6.2.7. გაითვალისწინოს **სისტემის ოპერატორის** რეკომენდაცია, რომელიც დაკავშირებული იქნება **ბარათების** პროგრამულ მომსახურებასთან. რეკომენდაციების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს **სისტემის ოპერატორს** მიზეზი;

6.2.8. წინასწარ აცნობოს და შეათანხმოს **სისტემის ოპერატორთან**, helpdesk@ufc.ge ელ.-ფოსტის საშუალებით, ნებისმიერი ცვლილება დაკავშირებული **ბარათების** ტექნიკურ და პროგრამულ მომსახურებასთან;

6.2.9. ინკასაციის დროს, **ბანკომატის** ჩატვირთვისას, შეასრულოს **ბანკომატის** აუდიტისთვის საჭირო ყველა პროცედურა.

6.2.10. წერილობით აცნობოს **სისტემის ოპერატორს საკომუნიკაციო კვანძის** შერჩევის ან ცვლილების შესახებ;

6.2.11. უზრუნველყოს **სისტემის მონაწილესა** და **სისტემის ოპერატორს** შორის გადაცემული ინფორმაციისთვის, კანონმდებლობითა და საერთაშორისო საგადახდო სისტემის სტანდარტებით დადგენილი უსაფრთხოების პროცედურების დაცვა.

6.2.12. მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად და **სისტემის ოპერატორის** მოთხოვნის შემთხვევაში, მიაწოდოს **სისტემის ოპერატორს** „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტ(ებ)ით გათვალისწინებული დოკუმენტაცია/ინფორმაცია, კანონით დადგენილი წესით.

6.2.13. **სისტემის ოპერატორის** წერილობითი თანხმობის გარეშე, არ გადასცეს ნაწილობრივ ან მთლიანად მესამე **მხარეს** მასზე გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები;

6.2.14. უზრუნველყოს **ბანკომატების** პროგრამული და ტექნიკური აღჭურვა საერთაშორისო საგადახდო სისტემების სტანდარტების გათვალისწინებით;

6.2.15. დაიცვას უსაფრთხოების პროცედურები და უზრუნველყოს უსაფრთხოების მოწყობილობის/ტექნიკის, კოდების, პაროლებისა და სისტემის წვდომის სხვა მეთოდებთან დაკავშირებული უსაფრთხოების ზომების შესრულება. **მონაწილე** დაუყოვნებლივ აცნობებს **სისტემის ოპერატორს**, თუ მას გაუჩნდა დასაბუთებული ეჭვი ან მიიღებს შესაბამის ინფორმაციას ზემოხსენებული მოწყობილობებისა და მეთოდების უსაფრთხოების წესების დაცვის გარეშე გამოყენებასთან დაკავშირებით.

6.2.16. სრულად დაიცვას შესაბამისი საერთაშორისო საბარათე სქემებისა და/ან საგადახდო სისტემების ის წესები, მოთხოვნები, სტანდარტები და პირობები, რომლებიც ვრცელდება სისტემის მონაწილეზე მისი საქმიანობის, სტატუსის, როლისა და გამოყენებული მომსახურებების გათვალისწინებით.

7. სისტემის ოპერატორის უფლებები და ვალდებულებები

7.1. **სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია:**

7.1.1. მოსთხოვოს **სისტემის მონაწილეს** ამ **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება;

7.1.2. მიიღოს **სისტემის მონაწილისგან,** გაწეული მომსახურების საფასური, შეთანხმებული ტარიფებისა და პირობების შესაბამისად;

7.1.3. **მონაწილის** მიერ ემიტირებული **ბარათების** ცალკეულ მფლობელთა მიერ ან/და **სისტემის მონაწილის** მიერ, **ბარათის** გამოყენების წესების დარღვევის ან შეუსრულებლობის შემთხვევაში, შეაჩეროს შესაბამისი **ბარათის** მოქმედება ან/და მონაწილის ფუნქციონირების შეჩერება და დაუყოვნებლივ შეატყობინოს მონაწილეს შეჩერების მიზეზის მითითებით;

7.2. **სისტემის ოპერატორი ვალდებულია:**

7.2.1. მომსახურება გაუწიოს **სისტემის მონაწილეს**, **ხელშეკრულებით** განსაზღვრული მომსახურების სახეებისა და ტარიფების შესაბამისად;

7.2.2. ინვოისთან ერთად, ელექტრონული ფორმით წარუდგინოს **სისტემის მონაწილეს** წინა თვის ოპერაციების ანგარიში, **ხელშეკრულებით** განსაზღვრული მომსახურების სახეებისა და ტარიფების შესაბამისად, არაუგვიანეს მომდევნო თვის 10 (ათი) რიცხვისა;

7.2.3. **სისტემის მონაწილის** მიერ **სისტემის ოპერატორისთვის** ახალი ობიექტის (მერჩანტის) შესახებ მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში, უზრუნველყოს რეგისტრაცია სისტემაში. მიაწოდოს **სისტემის მონაწილეს** ანგარიშსწორებისთვის აუცილებელი მონაცემები და დააინსტალიროს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა ტერმინალში;

7.2.4. **სისტემის მონაწილეს** გადასცეს, **ბარათების** ანგარიშსწორებისთვის საჭირო ელექტრონული ფაილები და ანგარიშგებები.

7.2.5. უზრუნველყოს **ბარათების** და პინ კოდების **სისტემის მონაწილისთვის** გადაცემა შეთანხმებული წესის შესაბამისად;

7.2.6. **სისტემის მონაწილესთან** წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, დროულად უზრუნველყოს სავალდებულო პროგრამული მოდულების განახლება;

7.2.7. **სისტემის ოპერატორი** პასუხისმგებელია არსებული და განახლებული პროგრამული მოდულების გამართულ და მანდატებთან შესაბამისად მუშაობაზე;

7.2.8. დაიცვას PCI DSS (Payment Card Industry Data Security Standard) მიერ დადგენილი უსაფრთხოების ნორმები და PCI PIN Security (Payment Card Industry PIN Security Requirements) მოთხოვნები;

7.2.9. დაიცვას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მოთხოვნები, აგრეთვე იმ საერთაშორისო საბარათე სქემებისა და საგადახდო სისტემების (მათ შორის, Visa, MasterCard, UPI და სხვ.) წესები, მოთხოვნები, სტანდარტები და პირობები, რომლებიც ვრცელდება მასზე, მისი როლისა და ფუნქციების გათვალისწინებით. ამასთან, აღნიშნული ვალდებულება ვრცელდება მხოლოდ იმ პროცესებსა და საქმიანობაზე, რომლებიც იმყოფება **სისტემის ოპერატორის** უშუალო კონტროლსა და პასუხისმგებლობის ფარგლებში და არ მოიცავს **სისტემის მონაწილის** მიერ შესასრულებელ ვალდებულებებს ან იმ მოთხოვნების დაცვას, რომლებიც მოქმედი წესების შესაბამისად დაკისრებულია **სისტემის მონაწილეზე**;

7.2.10. უზრუნველყოს საკომუნიკაციო და სერვერული ტექნიკის ფუნქციონირებისთვის საჭირო სამუშაო გარემოს შექმნა, საერთაშორისო საგადახდო სისტემების სტანდარტების შესაბამისად;

7.2.11. არანაკლებ 1 (ერთი) **სამუშაო დღით** ადრე (ხოლო წინასწარ დაგეგმილი სამუშაოების შემთხვევაში არანაკლებ 10 (ათი) **სამუშაო დღით** ადრე), ელ. ფოსტის საშუალებით აცნობოს **სისტემის მონაწილეს**, აუცილებელი პროფილაქტიკური სამუშაოების შედეგად გამოწვეული შესაძლო შეფერხების ხანგრძლივობის შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ შეფერხების ხანგრძლივობა აღემატება წინასწარ დადგენილ ვადებს და შეფერხება გამოწვეულია **სისტემის ოპერატორის** ბრალეულობით;

7.2.12. **სისტემის მონაწილის** უფლებამოსილი პირის შეტყობინების საფუძველზე პროგრამული სახის პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში მოახდინოს დაუყოვნებლივი რეაგირება და აღმოფხვრას ტექნიკური ხარვეზები, რომელიც **სისტემის მონაწილის ექვაირინგის** ქსელს უკავშირდება;

7.2.13. დროულად უზრუნველყოს **სისტემის მონაწილე ბარათების** ემისიისა და მომსახურებისთვის საჭირო კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფით;

7.2.14. განახორციელოს **სისტემის მონაწილის** ლოკალური ან/და საერთაშორისო საგადახდო სისტემის **ბარათების ავტორიზაცია** სავაჭრო და მომსახურე ობიექტებში, ინტერნეტ-კომერციის ობიექტებში, თანხის განაღდების წერტილებსა და **ბანკომატებში** (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხორციელდება სავალდებულო, წინასწარ დაგეგმილი ტექნიკური სამუშაოები);

7.2.15. უზრუნველყოს **სისტემის მონაწილისათვის** მისაწოდებელი ინფორმაციის სიზუსტე, სისრულე და დროული მიწოდება;

7.2.16. იყოს თავსებადი და სერტიფიცირებული საერთაშორისო საგადახდო სისტემების მოთხოვნების შესაბამისად;

7.2.17. ყოველდღიურად, მოახდინოს **ბანკომატებში,** ტერმინალებსა და ინტერნეტ კომერციის მერჩანტებში **ბარათებით** შესრულებული ტრანზაქციების დამუშავება და შესაბამისი ფაილების/რეპორტების ინფორმაციის მიწოდება **მონაწილეებისათვის**;

7.2.18. წერილობით აცნობოს **მონაწილეებს ბარათების** მომსახურებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ტექნიკური ან/და საოპერაციო ცვლილებების შესახებ მინიმუმ 3 (სამი) **სამუშაო დღით** ადრე, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ცვლილება უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ თუ აღნიშნული ცვლილება დაკავშირებულია **მონაწილის** საქმიანობასთან ან/და **სისტემის** უსაფრთხოებასთან.

7.2.19. უზრუნველყოს **სისტემის მონაწილესა** და **სისტემის ოპერატორს** შორის გადაცემული ინფორმაციის უსაფრთხოებისათვის აუცილებელი პროცედურების (შიფრაციის გასაღებებისა და ალგორითმების) დაცვა PCI DSS-ის შესაბამისად;

7.2.20. **სისტემის მონაწილის** მოთხოვნის საფუძველზე, **სისტემის ოპერატორსა** და **სისტემის მონაწილეს** შორის წინასწარ შეთანხმებულ ვადებში უზრუნველყოს **სისტემის მონაწილის** შესაბამისი თანამშრომლების ტრენინგი სათანადო ანაზღაურების სანაცვლოდ;

7.2.21. შესაძლებლობის ფარგლებში მხარი დაუჭიროს **სისტემის მონაწილეს**, ახალი ტექნოლოგიური პროდუქტის დანერგვისას.

7.2.22. მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად და **სისტემის მონაწილის** მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს **სისტემის მონაწილეს** „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტ(ებ)ით გათვალისწინებული დოკუმენტაცია/ინფორმაცია, კანონით დადგენილი წესით.

7.2.23. **სისტემის ოპერატორი** იღებს ვალდებულებას:

7.2.23.1. არ შეაფერხოს საქართველოს საზედამხედველო/მარეგულირებელი ორგანოს (საქართველოს ეროვნული ბანკის) მიერ, საჭიროების შემთხვევაში, **სისტემის მონაწილის** საქმიანობის დროული რეკონსტრუქცია.

7.2.23.2. მიანიჭოს საქართველოს ეროვნულ ბანკს, როგორც კომერციული ბანკების საზედამხედველო ორგანოს, უფლება დაუყოვნებლივ და უპირობოდ გამოითხოვოს **სისტემის ოპერატორისგან სისტემის მონაწილესთან** დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია.

7.2.23.3. აღნიშნული ურთიერთთანამშრომლობის განმავლობაში, არ შეაფერხოს/რისკის ქვეშ დააყენოს საქართველოს ეროვნული ბანკის შესაძლებლობა შეამოწმოს **სისტემის მონაწილის** ოპერაციები.

8. მომსახურების ტარიფები

8.1. **სისტემის ოპერატორი** საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრავს სატარიფო პოლიტიკას;

8.2. **სისტემის ოპერატორის** მომსახურების ტარიფები და ანგარიშსწორების პირობები განსაზღვრულია „საგადახდო სისტემაში რეგისტრაციის, სისტემაზე წვდომისა და მონაწილეობის მომსახურების ტარიფებში“ (შემდომში - „**მომსახურების ტარიფების დოკუმენტი**“), რომელიც განთავსებულია **სისტემის ოპერატორის** ინტერნეტ გვერდზე: www.ufc.ge ;

8.3. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, **სისტემის მონაწილე** ადასტურებს, რომ სრულად გაეცნო **მომსახურების ტარიფების დოკუმენტს**, ეთანხმება მას და ვალდებულებას იღებს შეასრულოს აღნიშნულ დოკუმენტში მითითებული ყველა პირობა.

9. მომსახურების ვადები

9.1. **სისტემის მონაწილის** მიერ **ბარათების** ემისიისთვის და პინ-კოდების გენერაციისთვის საჭირო ფაილების **სისტემის ოპერატორისთვის სამუშაო დღის** 19:00 საათამდე მიწოდების შემთხვევაში, **სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფს ბარათების გამზადებას სისტემის მონაწილესთვის გადასაცემად მომდევნო სამუშაო** დღის 13:00-მდე ან **სისტემის მონაწილესთან** შეთანხმებულ სხვა ვადაში;

9.2. თუ **სისტემის მონაწილის** უფლებამოსილი თანამშრომელი ოფიციალური შეტყობინების საფუძველზე მოითხოვს სასწრაფო მომსახურებას და ამ შეტყობინებას არაუგვიანეს **სამუშაო დღის** 16:00 საათამდე მიაწვდის **სისტემის ოპერატორს**, **სისტემის ოპერატორი** უზრუნველყოფს შესაბამისი მომსახურების გაწევას შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 4 (ოთხი) საათის განმავლობაში.

10. ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

10.1. **სისტემის ოპერატორი** უფლებამოსილია, ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები **ხელშეკრულებაში**, **ძირითად პირობებში** და სხვა **შემადგენელ დოკუმენტებში** (მათ შორის, მომსახურების ტარიფებსა და ანაზღაურების პირობებში), ცვლილების ძალაში შესვლამდე არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე, ხოლო მომსახურების ტარიფის ცვლილების შემთხვევაში, 6 (ექვსი) თვით ადრე, **სისტემის მონაწილის** წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. განახლებული პირობები ამოქმედდება მითითებული ვადის გასვლის მომდევნო კალენდარული დღიდან. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ **სისტემის მონაწილე** არ ეთანხმება განახლებულ პირობებს ან/და ტარიფებს, **სისტემის მონაწილე** უფლებამოსილია, შეწყვიტოს **ხელშეკრულება** წინასწარი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, **ძირითადი პირობების** 5.3.1.2 პუნქტის შესაბამისად;

10.2. გარდა ზემოაღნიშნული შემთხვევისა, **სისტემის ოპერატორის** მომსახურების პირობებში ცვლილება/დამატების შეტანა შესაძლებელია **მხარეთა** წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.